



დრობისა

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე...
ცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოცხადებულ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
„Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. воторъ объявл. А. Метцль., Москва, Петровка, № 6.
ცალკე ნომერი «დრობისა» ღირს 5 კაპეიკი.

„დრობისა“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნა-ზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дробна“.
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

მისს მაღალ-ყოველად უსამდვ-დელო ექსარხანის ჰავლეს მიერ იქმნება კარტხიზა ახლად აღმენე-ბულის თბილისის დიდუბის ღმრის მშობლის მკლასინსა მომავალს კვირას, ამა სექტემბრის 23 დღე-სა.
მ. ზესარიონ ზედგინიძე.
(3-1)

ზინაშარი მონაწილე

== ჩვენი სამაზრო სამმართველონი ისეთს მდგომარეობაში არიან ჩვერდ-ნილნი საქმეთ-წარმოების მხრით, რომ უკეთესი აღარ შეიძლება. ამ სამმარ-თველოთა დარბაზნი მთელს სრა-პა-ლატებს წარმოადგენენ: ოთახები სავ-სეა შეკაფებით, რომლებშიც საქმეთა გროვანი აწყვიდა; თითო სტოლს ორი და სამი კაცი მწერალი ჰყავს მიჩენი-ლი, მაგრამ, რომ შეხვიდე ამ გვარს დაწესებულებაში და რამ მკირე ცნო-ბა მოითხოვო, ორს სამს დღეს გაგ-ტანჯავენ და ცნობას კი არ გადირსე-ბენ. ცნობას საიდან მიიღებ, რომ საქმეთა-წარმოება სრულიად არეულ-დარეულია და ქაღალდები ან დაკარ-გულია და ან შეკერილი ისეთის ვა-დარევით, რომ ეშმაკიც ვეღარას მოს-ძებნის მათში.

საკვირველი ეს არის, რომ თუ სა-ქმის მორიგება ძნელია მიწერ-მოწე-რით, თვით მიწერ-მოწერა მანაც წე-სით და რიგით სწარმოებდეს, რომ შეიძლება დეს კაცმა ადვილად შეიტ-ყოს, რა ქაღალდს რა მიმართულება მისცეს, რა მსვლელობა აღირსეს და რა ბელი არგუნესო.
== ჩვენ გვწერენ: სექტემბრის 12-ს დაბა ზესთაფონში (შვირილაში) შემ-დეგი შემადრწუნებელი ამბავი მოხდა: ერთს გლესს, მალაქია შუთკარაძეს მოუკლავს თავის ყანაში ერთი ღო-რი. მს ღორი გამოდგარა ადგილო-ბრივ კომანდის უფროსის, კაპიტანის ხ—ჩისა, რომელმაც მაშინვე გაგზავ-ნა თავისი ხელ-ქვეითი სალდათები შუთკარაძის მოსაყვანად. სალდათებმა შეასრულეს უფროსის ბრძანება. მა-ბრაზებულმა უფროსმა ხელ-შეკრული შუთკარაძე ბევრი აცემინა იმავე სალ-დათებს და როცა სალდათები დაი-ლანენ და ხ—ჩის ბრაზიც დაცხრა, ამ უკანასკნელმა უბრძანა სალდათებს საწყალი შუთკარაძის საპრობილეში წაყვანა. საპრობილეში შუთკარაძე იჯდა იმ ღრომდე, ვიდრე მისი უკა-ნონოდ იქ ჩასმა არ გაიგო მაზრის

უფროსმა, რომელმაც მაშინვე იხმარა თავისი უფლება და უკანონოდ დატე-რილი შუთკარაძე გამოუშვა საპრო-ბილედგან. შუთკარაძეს მიუცია გა-მომძიებელისათვის თხოვნა, რომ ხის მოქმედებაზე გამოძიება მოხ-დეს, რადგანაც მის მოქმედებაში სამი დანაშაულობა ერთად გროვდება: უფ-ლების გადაშეცემა (превышение вла-сти), კაცის წყალება (истязание) და უკანონოდ თავისუფლების წართმე-ვა...
== ბუროილამ გვწერენ, რომ იქ (ბუროიში) ნადირი ძალიან გამრავლდა და ხალხსაც მეტად დიდ ზიანს აძლე-სო. ღლე არ გავა, რომ მგელმა ან ცხენი და ან ხარი არ გააფუტოს; და-თებმა ხომ მთლად ყანები გააოხრეს. მცხოვრებნი ყოველ ღამე დარაჯო-ბენ, მაგრამ ვერაფერი გაირიგეს, რად-განაც ტყვია-წამალი სრულებით არ ეშოვებათ.
== ბაზ. „ნოვოე მოზორ.“ ვით-ხელობთ ვიდაც უსახელო ავტორის წერილს, რომელიც ჩვენი რკინის-გზის მმართველობას არ ურჩევს რკინის-გზაზედ მოსამსახურეთ ჯამაგირები და-უკლოს, რადგანაც, ამ რკინის-გზის

ბაქოსი, ბათუმისა და თბილისის გან-ყოფილებანი ძალიან მანებებლნი არიან თავის ჰავისა-გამო კაცის ჯან-მრთე-ლობისთვისაო. ჩვენის აზრით, ამ შემ-თხვევაში ბევრი ჯამაგირის დანიშნე-ვა არ არის საჭირო, არამედ საჭიროა, რომ ამ გვარს ადგილებში იქაურს ჰავრსა და ბუნებას შეჩვეული ადგი-ლობრივი მცხოვრებნი დანიშნონ ხოლმე. მაშინ საქმეც შედარებით უფრო კარგადაც წავა და იაფადაც დაჯდება. ავად გახლამაც მოსამსახუ-რეთა უფრო იშვიათი მოვლენა შეიქ-მნება მანებებლის ჰავისა-გამო.
== ამ თვის 20 სამხედრო ოლქის სასამართლოში კაპიტანის ლეშაძის საქმის გარჩევა არის დანიშნული. ბ. ლეშაძეს აბრალდენ, რომ მას ებარა ბუროის დრუჟინის ფული, რომელსაც უკანონოდ აძლევდა დრუჟინის კო-მანდერს პოლკ. ნიჟარაძეს და თავის საჭიროებაზედაც ხმარობდა. ჯამი დანაკლისის ფულისა არის 6779 მა-ნათი, რომელიც ღლემდის კასში შე-უტანელი რჩება.
== ჩვენ გვთხოვენ დავებულოთ, რომ ობსერვაციის ქუჩა ავლაბარში

«დრობისა» ძეგლტონი, სექტ. 19-ს

ლიმილი

შური, მტრობა, ბოროტება სულ ერთად რომ მომაწევება და, სისუსტით გულ-გატეხილს, აღარა მწამს არსით შეგება,
მართი გვარი რამ ღიმილი სამსონისას მაძლევს ღონეს და მაშინ გინდ ჯოჯოხეთიც შემეჭილოს თავ-მომწონეს,
არ გავდრკები... გულით გმირსა და მებრძოლსა მრავალ-გვარად ხელთ მიპყრია ის ღიმილი მტრისთვის ხმლად და მოყვრის ფარად.
ის ღიმილი ნიშანია ახალ-გაზდათ თანაგრძობის და მიზეზნი საორკეცო ჩემის მღერის, ჩემის გზნობის.
შური, მტრობა, ბოროტება და მდევნელთა დიდი კრება იმ ღიმილის დანახვის დროს აჩრდილივით თვალ-წინ ჰქრება.
ის ღიმილი არის მხოლოდ ამ ჩემს თვალში წმინდად—წმინდა და სხვა ნაირ ღიმილებსა არც დავეძებ და არც მინდა.
აგბე.

პროვინციილა.

აგერ ამოვებწიე შხოელის აღმართს და ვიხილე ოდესმე გათქმული «ტანტის გუბეა*». ჩემ თვალ-წინ უცბად გადიშა-ლა ალაზნის ველი—«წინა-მხარი», მოწიფული მოსავლით და შავდ-მოლურჯო ტყეებით გაღმა და გა-მოღმა, ველის-ციხილამ შეჯინამდე. შილდიდამ ზაქათალამდე სიციხის ნის-ლი გაჰკვროდა ძავეასიის მთის ძირო-ბას.
დასავლეთისკენ მობრუნებულს მღე-ლვარე, ოღრო-ჩოღრო იერის ხეობის ქვემო ნახევარი გადამეშალა თვალ-წინ; ჩემ დასწვრივ, იქვე იყო რო-დისლაც დიდებული სასახლეებით და ციხე-გალავან-საყდრებით, ბაზარ-ქულ-ბაქებით შხოველი, რომელსაც შემ-
*) ტანტის გუბეს ეხლა ნასოფლარობაც ოდნავ ეტყობა; იგი მდებარეებს ციხე-გომბო-რის ქედზედ ს.ს. ფხოვლის და გურჯაანის მიჯნაზედ. უწინ, მოურავებს—ანდრონიკა-შვილებს—ველის-ციხისას, ჩუმადაისას, ქი-ზიისას, მარტყოფისას—გვეჯინელ—ფხოვ-ლელებს აქ, ტანტის-გუბეზედ, ჰქონიათ სა-ყარაულო და ხშირად თვით მეფენიც აქედან ადევნებინებდენ თვალს შემოსული მტრის მსვლელობის მიმართულობას. აქედან სჩანს, როგორც ხელის გულზედ, «წინა-მხა-რი» და «უკანა-მხარი». ეხლა „ტანტის-გუ-ბე“ წარმოადგენს ოთხს პატარა გუბეს წვი-მის წყლისას და მათ დასავლეთით ერთ მო-ხუც მუხის ხეს, რომლისთვისაც შეუბრალე-ბელს კაცის მარჯვენას ცუდით თავი მოუჭ-რია.

კვიდრენი ვალუბირდენ და შეიქმნენ სი-ლნაღელ-ნუკრიანენნი; ლაუბის გასწე-რივ გამოამყურებდა მრავალ-ჩრდილო-ვანი შოდალა; მარცხნივ გაწოლილი იყო მელანის მთა-ქედი, მარჯვნივ ზიარის ნანგრევები, შესანიშნავნი სა-ზოგადოდ ძანეთის და კერძოდ ანდრო-ნიკანთ საგვარეულოს ისტორიისათ-ვის; ამ საგვარეულოს საისტორიო ასა-რეზი შეკანა-მხარი ყოფილა; მხოლოდ მეჯინში ყოფილან ანდრონიკაშვილები მტკიცედ დამყარებულნი თავის შესანიშ-ნავი ლეთების მონასტრით... შვე-ლა ამ ადგილებმა მომაგონეს ჩვენ-ნი სამშობლოს წარსული: დამიხატეს ის დროც...
მოვიხედე აღმოსავლეთისკენ; რა მშვენიერებაა „წინა-მხარი“! შრისტე-ლმერთის პერანგს რომ იტყვიან, სწო-რედ აქ არის დაბერტყილი; ტყე მრავ-ალი, სახნავ-სათესი ბევრი, მიწა მე-ტის-მეტად ნაყოფიერი. დამაშვრალმა აღმართისაგან და დატვირთულმა ძვე-ლი დარღებით «წინა-მხრის» ერთი დხედვით დავისვენე და მოვიღხინე ქართველურად. ღავეში ტყიან თავ-დაღმართზედ კმაყოფილი, რომ უმოწ-მოდ მარტოდ-მარტომ მოვიმგლოვენე კირნი ვანახლებულნი...
* * *
«უკანა-მხრის» და «წინა-მხრის» ნა-ხვამ გამაკვირვა. «უკანა-მხარში» სო-ფლები უსისტემოდ არიან გაშენე-ბულნი, ძველებური საჭიროების გვა-

რად; მაგრამ ეს ძველებური საჭიროე-ბა „წინა-მხარში“ უფრო იგრძობე-ბოდა: აქ, წინა-მხარში, სოფლები გაშენებულნი არიან რიგზედ: სიღნაღი-დამ მოკიდებული თელავამდე ციფ-მომბორის დაღმართი არის განუწყვე-ტელი სოფლების წრე. დაღმართი ჩამორღონილია პატარა ხეებით, რო-მელნიც ჩაუღიან სოფლებს და ჰყო-ფენ ერთმანეთისაგან; მაგალითად, შე-რემის და შაჟრის ხეებს შუა ახაშე-ნია; შაჟრის-ხეებს და ბრმა-ღელეს შუა ჩუმლაქია; ბრმა-ღელეს და წამებულ-ხეებს შუა ბურჯანია, იმას იქით შე-ჯინი და სხ. თვით სოფლებს ჩაუღიან ხეებით, რომელნიც ჰყოფენ მათ უბ-ნებად. სოფელნი გაშენებულნი არიან მალა, დასწვრივ ვენახები, ძირს კა-ლოები. აი ხასიათი წინა-მხრის სოფ-ლების გაშენებულობისა. სასმელი წყალი ყველა სოფლებში წყაროსია, რომელნიც ხეების გაღმა-გამოღმა მრავლობენ. წისქვილები ეხლა მხო-ლოდ ანავის და შერემის ხეებზედ-და ბრუნავენ. უწინ წისქვილები თურმე ბრუნავენდენ ჩალაუბნის, მაქსიმე წა-მებულის წილიანა და ახტალის ხე-ვებზედ, სადაც მათი ნანგრევებია ჰმოწმობენ მათს არსებობას. ხალხი უწინ უფრო შეძლებული ყოფილა, როგორც სხვაგან; ამას ამტკიცებენ ნავენახრები, ნასადგომარები, კეთი-კირები და სხ. მაგალითად, ყოველად-წმიდის ხეებზედ ს. ბურჯანში ყოფ-



გაღიჭრა რკინის გზით და ამ ადგილას საკმაოდ მაღალი ფლატო გაკეთდა. ბნელა ღამეში მიმავლებისთვის შემინვევლი რჩება ეს ადგილი, რადგანაც ფლატოს ნაპირი არც ფარნით არის განათებული და არც მოაჯირი აქვს გადებული. მზის გაყვანის შემდეგ რამდენიმე კაცი გადავარდნილა ამ ადგილას და სრულიად დამსხვრეულა, რამდენიმე მეფეთქონე მხოლოდ იქ მცხოვრებლების გულ-მტკივნეულობის გამო გადაჩინილა, რადგანაც შუალამისას მომავალი ქაეტონის რაზმი-რუხუნდ ისინი გამოსულან და შეუტყობინებიათ სახითათო გზის ვითარებაო.

მეტი არ იქნება, რომ ამ საგანს რკინის გზის მმართველობამ ყურადღება მიაქციოს.

— ამ დღეებში ჩვენ ვნახეთ მინიატურული ქართული სახარება, რომელიც თ. ბაკი წერეთელს შეუძენია. სახარება ნაწერია ხუცურად და ისე წერილად, რომ შეუიარაღებელის თვალთ ასოები ძნელად გაიჩინება. ასოები განსაცვიფრებელის სისწორით არიან დაწერილნი. სახარებას აქვს რამდენიმე სურათი ოქროს ვარაყიანი და არის დაწერილი წმინდასა და სუფთად გაკეთებულს ეტრატზედ. საუკუნე, რომელსაც ეს სახარება ეკუთვნის, ჯერ გამოკვლეული არ არის, მხოლოდ ამ წიგნში მბილისი დაბად არის ნახსენები და ეს ზედ წარწერა-კი ზოგი-

ლად წმიდის შესანიშნავი ეკლესიის ნახვა კაცს ვაცვიფრებს: მის გარემო ამ სამოცი წლის წინად მთელი სოფელი ყოფილა; ეხლა ნანგრევებილა. მეჯინის ღვთაების მონასტერი მნახველს დაარწმუნებს, რომ ჩვენი მამა-ბაბა დიდი ღონისა და შეძლების პატრონი ყოფილა. ეს ძველი ადგილები ელიან თავიანთ ალწერას. სოფლების ქვემოდა სამი ვერსის დასწვრივ დაკვირვებული თვალი შეინიშნავს ზაგნარის წრეს, რომელიც მიმართება შირაქამდე და აღნიშნავს დიდებული მამარ მეფის მიერ გაყვანილი არხის კვალს...

— * * *
ორივე მხარეში ხალხი დიდ მოსავალს ელის ფეტვისას და სიმინდისას; მხოლოდ შხოველში დათვები შესწევია სიმინდებს და აობრებენ; შუადლისას ამ დათვებს რამდენჯერმე სიმინდის პატრონები შინ მიურეკნიათ; ბურჯანის, ჩემლაყის და მეჯინის სიმინდებს გარეული ღორის ფარები იკლებენო და ჯერ ვითომ არ გაუგიათო.

პურის მოსავალი წვიმებმა დაცარეს; ვენახები სიციხეებმა შეაწუხეს და აზარალეს მეჭად „მწვანე“. ამ აგვისტოს დამდეგ და შემდეგ წვიმებმა ცოტა არ-არი მოასურთილეს თურმე ვენახები. პი წინა-მხრის მაზანდა: კოდი პური 2 მანათი; ქერი და სიმინდი 1 მანათი, ფეტვი 80 კაპ. ათი გირვანქა ხორცი: ძროხისა 70 კაპ., ცხვრისა 60 კაპ., ღორისა ორი აბაზი. რიგინი

ერთს აფიქრებინებს, რომ სახარება მეხუთე საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. ამის გარედ ქორონიკონის მაგიერ სახარებას აწერია მხოლოდ: ქრისტეს აქეთ უკა (421). ჩვენი აზრით ეს სახარება 1733 წელს უნდა იყოს გაწერილი, რადგანაც აქ მოხსენებული ქორონიკონი ცხადად აჩვენებს ამას. მასვე მოუპოვებია საქართველოს უკანასკნელი მეფის ბიორგის ნაქონი მინიატურული ლოცვანი.

— ღრამატიულის საზოგადოების მმართველობას, როგორც შევიტყეთ, განუზრახავს ენერგიულად იმეცადინოს, რათა მთავრობამ აჩქაროს იმ პიესების წარმოდგენის ნება-რთვა, რომელნიც რამდენჯერმე უთამაშნიათ, მაგრამ დღეს კი აღკრძალულნი აღმოჩნდნენ.

სხვა-და-სხვა ამბავი

ელექტრონული დედა-გაცი. ერთს წარსტუხულს შედიცინურს უწინააღმდეგარნი ქვე სწერს ერთს სახლს და ფრად იშვიათს ავადმყოფობას შემოსევას. დექტორი ქვე სწამლობს თურმე ერთს სახლგაზდა, 29 წლის, დედა-გაცს. რადესაც ჯერ ისეკ გასათხვარა იყო, ამ ქალმა შეინიშნა, რომ ბნელაში ამის თმება ნაპერწკლებს ასგრან და ტკაც-ტკუცა გაქკეთ. შემდეგ ეს მოკლეხა უფრო გამდიადდა და ესლა მუ-

ღინო ჩაფი ორ მანათად იშოვება. ბქ ვაქრობა უფრო მოძრაობაშია, ვიდრე მბილისის აყოლებს. ღლიური მუშა მკაში სამი აბაზი ყოფილა, ეხლა ორი აბაზია.

— * * *
სიღნაღის მაზრაში ეტყობა თან-და-თან მრავლდებიან ნამდელი მამასახლისები, სოფლის მომელოლები; მაგ. ს.ს. მეღის-ციხის და ბურჯანის მა-მასახლისებს მეტად აქებენ. ბურჯანის მამასახლისი წარსულ თიბათვის დამდეგ დაუყენებიათ და ამ მოკლე ხანში მთელი მაზრა აულაპარაკებია თავის გარჯილობით: ბურჯანი დღემდე თურმე მწვანე ხავს-გადაკრული გუბე ყოფილა, სადაც ოთხივე მხრივ ცურაობდენ გლენების მველევანი და მჩავერღონი; წინანდელი მამასახლისები თურმე სხვა ყოჟილან...

მხლა კი, ამ სამ თვეში, ხალხს პატარა თავისუფლად ამოუსუნთქავს. აწინდელს მამასახლისს ამოუყვეთია გლენების შეწუხება—ამ სამ თვეში მთელ სოფელში ერთი წიწილა და მისი ფასი არავის დაჰკლებიაო; გზირებს და ჩაფრებს თითონ უხვდებაო; მოსავლის წახდენა ამოაკვეთინა მეძროხე-მეხბორეებსაო; წინანდელ მამასახლისებს დუქნებში ამოსდიოდათ სული და მედუქნებს გლენებსაც ატყავებინებდნო; ეხლა კი ღამის სული ამოეხუთათ მედუქნებსაო; ვინც ტაქსას ზევით გაჰყიდის, ყველას არბევსო: ერთ დღეს ლიტრა-კასრები გამოუწყო და ვისაც დიდი მოვიდა,

დამა სხანს, გარდა ღრუბლიანი დღეებისა. ამ ავადმყოფის თითები იკვრენ წვრილ საგნებს—ქაღალდის ნაგლეჯებს, ლენტების ნაჭრებს და სსკ. თეთრეულის ტანზე შესებაც აგრეთვე იწვევს ტკაც-ტკუცს და ნაპერწკლებს. თით თეთრეული სშირად ისე ძლიერ მიეჭრება სხლმე სსკულებად, რომ მოძრაობას უშლის. ავადმყოფს რომ სელები 12 ჯერ გაასახუნებინო შალეულ მატყრაზე და სსკ., მატყრის მასთანავე ამსება ელექტრისმოთი, ეჭრება მეუელს და ნაპერწკლებსა ჰქვამს. მსახიური აქექტები (შიში და სს.) ძლიერ იწვევენ ელექტრისმოს, განსაკუთრებით მუხლებში; ამ დროს ავად-მყოფი რადსაც ხსკლეტის მსგავსს უსამოკონობასა გრძნობს. რადესაც ავადმყოფს ძლიერ შოუვა ელექტრისმო, ის ატაცებულს მდგომარეობაში იმყოფება სხლმე და რადესაც ეს მდგომარეობა გაუფლის, ძლიერ სუსტად გრძნობს თავის თავს. ელექტრისულს სახანებულს უკეთებენ თურმე ავადმყოფს და ამის ზედ-მოქმედებით, ცოტა არ არის, უკეთესდება მისი მდგომარეობა.

ცელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსა“)
სექტემბრის 18-ს
პეტარბურგი. საპატრიმროთა ზე-

ქვაზე დაუხალაო; მეორე დღეს ერთ მედუქნეს ხორცი ლაფში გადუყარაო, ძვირად რად ჰყიდიაო. მართის სიტყვით— ეხლანდელ მამასახლისს კაი-კაცობას უმადლიან მთელ სოფელში; მაგრამ გადაჰკიდებია თურმე ერთი ოჯახი სიღნაღის 2 გილდის ვაჭრის ბ. ჯ—ისა, დიდ დავიდარაბას უწევს თურმე იგი მამასახლისს, ერთი მედუქნე თურმე ეხვეწებოდა ერთხელ მამასახლისს: მამასახლისო, ტაქსა წინადაცა გექმანდა, მაგრამ ჩვენ ნებაზე ვჰყიდითო,—შენ რალა დაგემართა, ათ გირვანქა კარგ ხორც მოგართმევ დილა-ადრთან და ორ კაპიკ ზევით გამაყიდინეო. მამასახლისმა ცერად შეუბღერა და მედუქნემ იფიქრა თავაკაქვეით—ეტყობა „რაც მიწახავს, ველარ ვნახავო“. ღმერთმა მოუმართოს ხელი ამისთანა კეთილ მამასახლისს, ღმერთი შეეწიოს ხალხის გაკითხვისათვის, თუ მართლა ისეთია, როგორც გავიგონეთ და თუ ცოდოც იცის და მადლიცა.

— * * *
ორივე მხარეში ეხლა „ყვავილი“ მქინვარებს, და ხალხი დაფიქრებულია. მითხრეს მეღის-ციხეში სამამდე სული იმსვერალა ყვავილამო. შეავილის კვალს შესდგომიან კუქის და სს. ანთება, ციებ-ცხელება, დასიცხვა და სსკ. იხობება წვრილ-ფეხობა და შევლა არსაიდან არისო, მეუბნებოდენ ყველგან. ლოცვენ ერთს ყვავილის ამცრელს, რომელმაც ბევრი ყმაწვილი გადაარჩინა აუტდენელ სიკვდილსაო.

დამხედველობა შეიცვალეს მოკლე ხანში; საგუბერნიო მმართველობათა ვადებულებანი საპატრიმროთა შესახებ განზრახულია გადაეცეს ცალკე ინსპექტორებს აზრად აქვსთ ახალი წესები ჯერ იმ გუბერნიებში შემოიღონ, რომელნიც ექვემდებრებიან საზოგადო საგუბერნიო გამგეობას, ხოლო ერთი წლის შემდეგ იმ გუბერნიებში, რომელთაც განსაკუთრებული წესით განაგებენ.

პეტერბურგის ზღვის არხი სექტემბრის 26 გაისხნება.

„ნოვოე მრემია“ არდვევს იმ ცნობას, ვითომ ებრაელთათვის შედგენილმა კომისიამ დაასრულა თავისი საქმე და სახეწიფო რჩევას წარუდგინა; ეს შეუძლებელიაო, ამბობს გაზეთი, რადგანაც გრაფი პალენი ოქტომბრის გასულსაც ვერ დაბრუნდება პეტერბურგს, ხოლო კომისიის წევრნი ცალკე-ცალკე განიხილავენ თითოეულს საგანს და დაახლოვებითაც არ შეიძლება გაცმა სთქვას, არათუ როდის დასრულდება საქმე კომისიისა, არამედ—როდის იქნება პირველი მისი საერთო გრებაც.

ტიან-წინი. ხმა ისმის, რომ ჩინეთის დედოფალს გადაუწვიპტია შერიგება საფრანგეთთან.

კაშტი. დღეს გაისხნა ვენგრის

მთელ მაზრაში ეხლა ორ საგანზედ აქვსთ ლაპარაკი: ივრის წისქვილებთან ხაზინის პოვნა და პარდანახელი შერემეტიევის ზვრის მონახვერე გლენებზედ.

ეს ორივე შემთხვევა შესანიშნავია და ამტკიცებს ქამთავითარების მძლავრობას ალაღმართალზედ. პინაპონი ხაზინის საქმე რაშია თურმე: 1844 წლებში განსვენებული მარანცოვი ახალი გადმოყვანილი იყო და რუსები მედგარ ბრძოლას ეწეოდენ ძველისის მთიელებთან. ამ დროს მბოლისი დამთეთრი ოქროს ხაზინა მოჰქონდათ ცხენების ურმით; ივრის მუხებში ფშანზე ბოგირი ჩატყდა მაშინ, როცა ხაზინა ზედ შედგა; ამ დროს წყალი აღიდებულიყო და ტყავის პარკებით სავსე ფულები წყალმა წაიღო; ბევრი ეძებეს, ვერ იპოვეს. მართს თვეს ყარაული ედგა იმ არე-მარეს, მაგრამ მაინც ვერ იპოვეს. იმ დროს გავლენიან პირთავანი იყო მელოანელი იასე ანდრონიკაშვილი, პოლკოვნიკი; დააბრალეს მას ხაზინის მოპარვა, მითომ წყალ-წყალ გაატანა ქვევით და დამალა. ღიპირეს ალაღ-მართალი კაცი ქებეს, გადააბრუნეს მელოანი, მაგრამ ვერა იპოვეს-რა. მხლა; წარსულ იენისის თვეში მეწისქვილე იმერლები ასწორებდენ ფშინსგან წახდენილს წისქვილის არხს და ალაგ-ალაგ ახალ არხს სჭრიდენ, წყლისგან მილამულ ადგილს. იმერლებმა იპოვეს ჯერ ერთი, მერე ორი სამი და შემდეგ ბევრი თეთრი ოქროს (платина) ფულები. მართმა იმერელმა



სეიმი. სატახტო სიტყვაში ნათქვამია სხვათა შორის მაგნატების პალატის ცვლილების საჭიროებაზედ.

ლონდონი. ჟორმოზის მანლობლად ფრანგებმა შეიპყრეს ინგლისის ორი სავაჭრო გემი და განხრევეს.

ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაწესეს სასსკვად 4 აპრილის 1866 წლის, ავადმყოფნი მიიღებან დღის 8 საათად 12 საათამდე.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავადმყოფებს შემდეგი კვამები: ტერ-გროვორიანი—8 საათად 9 საათამდე. სპეციალ, სპეციალ და სპეციალ ავადმყოფობის საწამლეულად; ადამიანცი—9-დამ 10-სათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლეულად; ბენკლევისკი—10—11 საათამდე. სპეციალ, სპეციალ ავადმყოფობის წამლებათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილსა საწამლეულად; მტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამაფრთხილებელის წამლებათვის. ამას გარდა: გარბლევიჩი რკინათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობას წამლებათვის; გორონა რკინათობით, სამშაბათობით, სუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლებათვის 10—11 საათამდე; მინერალი სამშაბათობით და პარსკეობით 9—10 საათამდე სიფილისისა და ავადმყოფობის წამლებათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლეულად მიიღებს თავის სასწრაფო ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბატონი ექმნებათ.

მაზანდა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, ლუქებში და ხელდახელ 1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე 1884 წ.

გამომცხვარი შური სუთის ფეკილისა	— 1 გირ. 5 კ.
აჭურის ფეკილისა: შირკელის ხარისხისა	— 1 გ. 2 1/2
მეორისა	— 1 გ. 2 კ.
იმავე ფეკილ. თორნიეში გამომცხვარი: შირკელი ხარისხისა	— 1 გ. 4 1/2
მეორისა	— 1 გ. 3 კ.
მესამისა	— 1 გ. 2 1/2
ფეკილის-მამი შური: შირკელი ხარისხისა	ლაგაში 1 გ. 4 1/2
მეორის ხარისხისა	ლაგაში 1 გ. 3 1/2
მესამისა	— 1 გ. 3 კ.

გაუთხილა ეს საქმე წინაქვილის მედლეტნეს — სომეხს, რომელმაც აცნობა პრისტავს ანდრონიკაშვილს. მანინმა გამოძიება დაუწყეს ოფიციალურად ძებნა ხაზინას, იპოვეს, ამბობენ, 1000 მანათამდე, იმერლებისგან ნაპოვნ გარდა. მხოლოდ ვიკითხოთ: რა დანაშაუნი იყო ან მისე ანდრონიკაშვილი, ან სხვა, რომ აღიღებულმა წყალმა ფულების პარკები გარაობით წაიღო და ვინ იცის სად მიიღო? რა დანაშაული ჰქონდა გამართულ ოჯახს, რომ სამ წელიწადზე უწყალოდ დაიმხო აღიღებული წყლის ცვლილების გამო; ვისი საზღაური ან მისე ანდრონიკაშვილი, ან მისი ოჯახი?... ძარდანახელის გლეხების საქმე ესრე მიამბეს: აბხაზიული ამატუნის ზვარი ძარდანახში ბრძანა შერემეტიევმა იყიდა 82,000 მანათად. ამ გაზაფხულის პირს მისმა მოურავმა ჩაიბარა მამული; ზვარი რვა ძარდანახელ გლეხკაცს ჰქონდა მიცემული სახანგეროდ საკეთებლად ამატუნის მოურავის შაჰი-პლასგან, რომელსაც ამ უბედურების ჩაჩხად ასახელებენ. შაჰი-პლამ ურჩია ახალ მოურავს — ეგ გლეხები დაითხოვე, ზვარი ჩამოართვი, თორემ აქაურ თავადებს სიტყვას უჯერებენ და გაგაქუქებენ. ამასთან ისე აუწერა ძარდანახელ-ბაკურციხური თავადობა გლეხებთან, რომ ახალ მოურავს მაჰდის ხელკვეთებზე დაბლა უნდა დაეყენებინა. ახალმა მოურავმა გლეხებს უბრძანა ზვარიდან გადითო. იმათ უარი უთხრეს, მოურავმა უჩივლა სიღნაღის მომრიგებელ მოსამართლესთან, რომ

მელომაც დაადგინა: „გლეხები ზვარიდან გავიდნენ ყურძნის დაკრეფის და თავის მონაწილეობის მიღების შემდეგ და არა აღრე“. ან კი რომელი კანონი ვამტყუნებდა საწყალ გლეხებს, რომელთაც შემოდგომას აქეთ ორასი დღით ზვარი შეუმუშავებიათ, და მთელი წლის შრომაზე და დანახარჯზე ხელს აღებინებდა? რამდენიმე დღის შემდეგ ზვარის ღობეს ცეცხლი გაუჩნდა და რამდენიმე ადგილი დაწვა. მოურავებმა ძველ-ახალმა დაბრალეს გლეხებს — ცეცხლი იმით წაუკიდეს ღობესაო. ახალმა მოურავმა უჩივლა ადმინისტრაციული წესით და ამ აგვისტოს 3, თუ 4, სიღნაღის მაზრის უფროსმა ექვსი გლეხი იმ რვათაგანი ხელ-შეკრულები არეკა სიღნაღს და ციხეში დაატუსაღა, დღესაც სხედანო, ამბობენ. მხოლოდ ვიკითხოთ ზვარის მონახვერენი, რომელთაც შეიმუშავეს და შეღობეს ზვარი თავის მარჯვენით, რომელთ უფლება ზვარის გამოსავლის ნახევარზე კანონმა აღიარა და დამტკიცა, — ვიმეორებთ — ზვარის მონახვერენი, მე რე ქართველნი — გლეხნი გაიმეტებდნენ თავის საკუთრებას, თუმცა დროებით, რომ ცეცხლი წაეკიდებინათ? ნუთუ აქ ბოროტი მანქანება არ არის? გლეხები ვიდრე ციხეში იქნებიან, ცხადია ზვარს მოვლა, პატრონობა დააკლდება და პატრონები იზარალებენ... მათი ზვარზედ შეღებული და ნაცვლებული მათი ჯიბე და ძალღონეც მესძლევენ ამ ზარალს, თუ არა? აი საქმე

ძრისის ხორცი:	
შირკელის ხარისხისა	— 1 გ. 7 კ.
მეორისა	— 1 გ. 6 კ.
სუკი	— 1 გ. 14 კ.
ტყვარის ხორცი	— 1 გ. 7 კ.
ღრის ხორცი:	
შირკელის ხარისხისა	— 1 გ. — კ.
მეორისა	— 1 გ. — კ.

რკინის მზა

თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დღით თბილისიდან მარტო სამურბდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან. თბილისიდან ბაქოსკენ 10 საათზედ და 45 წამ. დღით. (სამშაბათობით სანქარო 10 ს. 58 წ. დამ.) ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათზედ და 25 წამ. შუადღ. უკან. ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან. ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დღით. ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დღით. ფოთიდან ბათუმიდან მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო სამურბდინ მომავალი თბილისში შემოდის 8 საათზედ დღით ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (შარსკეობით სანქარო 7 ს. 53 წ. დღით.)

განცხადებანი

საქართველო. იმერეთის სომეხთ-გრიგორიანის სავაჭრო კონსისტორიის მიერ დანიშნულია სექტემბრის 21 მაზრამდე, რომელიც 24 იქნება განმეორებული, 12 დეკემბრის მიხედვით. დეკემბრს აქეთ ოთახი და სარდაფი, ეკუთვნის კუკის სომეხთ ყოვლად-წმინდა ღვთის-მშობლის ეკლესიას და იმყოფებიან საეკლესიო და ვორონცოვის სანაპირო ქუჩაზედ. (3—1)

ახლად განსწილი სამეცნიერო ქარხანა „სოფლის მეურნე“ ზადმოვიდა ახალს სადგურში ბოლოვინის პროსპექტზე № 11, სახლი რეიტერისა (სადაც უწინ იყო «Общество Бережливости»). (5—5)

„წასვლა სჯობს წამავლისა არ დაყოვნება ხანისა.“

საწყალი ახმწილები! საიქიოს მოძულეებული მსგავსა საქალაქ აშინებს და უფთხოვს ძილს!.. სიზმარი სიზმრად ითქმება, მაგრამ ბედი თუ უბედობა თავდაპირველად სიზმრით მოზმანებია ყველას. ბოლოს დროს ს—ბის მოძრაობა აღარ არის სახუმარი: სიღნაღის ს—ბაც რომ ეროვნობას ქადაგებდეს, ოთხიოდე აღიზის სახლის მექონე, სხვა ერმა ყური უგდოს და ხმა გაკენდილობა თავის სეირს უყუროს? სიღნაღში ერთი კლუბი იყო თურმე; ამას წინად აღმოუჩინათ, რომ ს—ბას ყოყმობა-მამინაცვლობა უწყევია კლუბში, რომელიც ამის გამო გაყოფილა ორად: კლუბად ქ—ბისა და კლუბად ს—სა? „მართი მუტა კაცი, ორი მუტა წვერ უღვაშია“, სწორედ სიღნაღელებზედ უთქვამსთ ძველებს; იმას კი არ დასდევენ, რომ ბაზანები დაკადრდებიან, და ნუკრიანული მანდილოსან — მეგობრები ბოლოს მათ ადგილს დაიჭერენ; ჰგონიათ მამა-პაპის გამოჭრილი ადლი და სტამბოლში დაწერილი წესები მათთვის ერთ ნაირად სასარგებლონი იყენენ; სიღნაღელები დღემდე მხოლოდ სარწმუნოებით ყოფილან ს—ბი; ბუნებით კი ადგილობრივი მამულის შეილები; ეს ყველასთვის ცხადია.

რაშია. რა დანაშაუნი არიან ისინი, რომ მათ თავიანთი კეთილი შრომით ნაღვაწი არ გაუშვან ხელიდან და მით იცხოვრონ და აცხოვრონ თავიანთი ცოლშვილიც...
ამ საქმის გამო ჰაჯი-ალა პოლოსაზე ბევრს ლაპარაკობენ.

სოფ. ახაშენში*) ერთ გლეხს სიზმარი უნახავს; აი რა სიზმარი: „მას უნახავს სიღნაღელი განსვენებული ძ—ანთ მსგავსა (ამირხანოვი). მსგავსა მეტად გაჯავრებული თურმე იყო; უჯავრდებოდა თავის შვილებს შაშა მ—ებს: „რა დაგემართათ? ძ—ანთ რით ვერ ჩამოართვით მამულები და ვერ გარკვეით? რას ფიქრობდით, რომ ილიას აქ მიგზავნიდით? აქ ყოველ-დღე ერთ აყალ-მაყალს არ მიღევს, დღეში ხუთ-ჯერ წიხლით მთელავს და ხანჯალს ყელში მაჭერს ღორივითაო; მიშველეთ, გამაცალეთ, თორემ ამან მეტი აღარ შემიძლიანო“...
შვილი დაპირებია: — მამაჯან, ნუ გეშინიან, ეხლა ღვინობის თვეში ქაშნიკებით მოვდივართ და მოგეშველებითო, ფიქრი ნუ გაქვსო“. ბახარებულს მ—ას მე—თვის პაჩი უქნო. ახაშენელს სიზმარში დროება გაუტარებია მელქოსთან და უმღერნია მელქოსთვის:

*) ს. ახაშენში გლეხკაცობის მამულები ანაწილდა აქეთ იმყოფებული ნათლიანობით.

ცხვილქალი.

